

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

შინაარსი

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება	4

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-16.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიის აქციონერებს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი

მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ შეეხება და მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიის უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუმას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესისზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ოთარ ახოზამე
თბილისი, საქართველო
2024 წლის 12 სექტემბერი



მის: თბილისი, 0102 ჩიტაიას 7, ბინა 2

ელ-ფოსტა: contact@alterego.com.ge;

ვებ-საიტი: www.alterego.com.ge;

მობ: +995 599 97 80 80;

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის


(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	7	29,224	25,741
საერთო მოგება		29,224	25,741
ხელფასის ხარჯი		14,479	11,832
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	5,864	4,423
სულ საოპერაციო მოგება		8,881	9,482
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ხარჯი/შემოსავალი		76	275
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		1,003	539
ცვეთის ხარჯი		1,793	902
არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		-	-
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		6,161	8,316
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		6,161	8,316

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 12 სექტემბერს

ნათია ჯანაშია დირექტორი

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მირითადი საშუალებები	9	46,839	40,403
სულ გრძელვადიანი აქტივები		46,839	40,403
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	10	633	653
წინასწარ გადახდილი თანხები		2,945	2,926
სხვა მიმდინარე აქტივები		1,022	1,062
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	586	1,632
სულ მიმდინარე აქტივები		5,186	6,273
სულ აქტივები		52,025	46,676
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	10	3,343	3,343
დაგროვილი ზარალი		17,149	10,988
სულ კაპიტალი		20,492	14,331
სასესხოვალდებულებები		12,710	14,502
სხვა ვალდებულებები		1,626	1,337
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,336	15,839
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		965	1,087
გადავადებული შემოსავალი		15,937	14,531
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		295	888
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		17,197	16,506
სულ ვალდებულებები		31,533	32,345
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		52,025	46,676

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 12 სექტემბერს

ნათია ჯანაშია დირექტორი
შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

6. ქანჭი

5-17 გვერდებზე დართული შენიშვნები მის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31

დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,343	2,672	6,015
წმინდა წლის მოგება	-	8,316	8,316
შენატანი საკუთარ კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,343	10,988	14,331
წმინდა წლის მოგება	-	6,161	6,161
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,343	17,149	20,492

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
სწავლების საფასურის სახით მიღებული ფულადი სახსრები		29,429	26,906
სახელმწიფო ვაუჩერებიდან მიღებული ფულადი სახსრები		97	118
სხვა მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,704	772
მომსახურებასა და საქონელში გადახდილი ფულადი სახსრები		5,643	4,755
გადახდილი ხელფასი		15,728	11,893
გადახდილი საოპერაციო გადასახადები		383	14
ბლოკირებული ფული		-	-
მიღებული პროცენტი		163	88
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		9,639	11,250
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(8,245)	(15,235)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,245)	(15,235)
ფინანსური საქმიანობა			
კაპიტალის გამოშვება		-	-
სესხებით მიღებული ფინანსური ნაკადები		(2,496)	615
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,496)	615
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(1,102)	3,370
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის	11	1,632	6,048
წმინდა საკუროს სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		56	1,046
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	11	586	1,632

5-17 გვერდებზე დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წელს, (სარეგისტრაციო ნომერი: 2778/005) საქართველოში, ქალაქ თბილისში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის აქციონერები იყვნენ:

	2023 წლის 31 დეკ.	2022 წლის 31 დეკ.
შპს „საქართველოს განათლების ჯგუფი“	70.00%	70.00%
ნათია ჯანაშია	30.00%	30.00%
სულ	100%	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა.

2019 წლის 5 სექტემბერს კომპანიამ დააფუძნა შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა. შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ., №17. მისი ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო საქმიანობა. შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის 100% ის მფლობელია კომპანია.

2021 წლის 16 სექტემბერს კომპანიამ დააფუძნა შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია - ოქროყანა. შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ., №17. შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია - ოქროყანის 100% ის მფლობელია კომპანია და მას ოპერაციები არ აქვს.

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია არის შპს „ჯორჯიან ედუქეიშენ გრუპი“, ჯგუფის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელია შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია) ჯორჯია კაპიტალი („GCAP“) კომპანია, რომელიც დაარსებულია გაერთიანებულ სამეფოში და რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე. 2019 წლის ზაფხულში სს „ჯორჯია კაპიტალმა“ შეიძინა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის 70.00% წილი. 2020 წლის 25 ივნისს სს „ჯორჯია კაპიტალმა“, GCAP-ის უშუალო შვილობილმა კომპანიამ შპს ბრიტანულ ქართული აკადემია გადასცა საკუთრებაში შპს „საქართველოს განათლების ჯგუფს“.

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია, შპს საქართველოს განათლების ჯგუფი“ გამოსცემს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ., №17.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს-ის სტანდარტები“) შესაბამისად.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

რეალური ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებას ყოველი წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს

- მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არარსებობს ძირითადი ბაზარი.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საწარმოსათვის.

კომპანია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულებას ისეთი დაშვებების გამოყენებით აფასებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლის დროსაც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

მომსახურებისგაწევა

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღირება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიიდან გამომდინარე. ხელშეკრულების შესრულებული სტადია განისაზღვრება სკოლის მიერ თითოეული აკადემიური კლასისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მიწოდების შესაბამისად.

საიჯარო შემოსავალი

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

უცხოური ვალუტები

კომპანიის მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენა:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	3.0976

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრებას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრვა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: მანქანა-დანადგარები, მიწა და შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის და სხვა აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისატანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება; (გ) დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს ასევე, იმ ტერიტორიის აღდგენის ღირებულებას, რომელზედაც ამგვარი აქტივი იყო განთავსებული, და (დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კისრულობს კომპანია აქტივის შეძენისას ან, მუხლის გამოყენების შედეგად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რისი მიზანიც არ არის ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოება.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	7
სატრანსპორტო საშუალებები	5

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების თვითღირებულებისა და მისი ნარჩენი ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების მუხლის გაყიდვიდან ან განკარგვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთვლებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისათუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიწვლულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი და მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული სახსრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აღიარდება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზირებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის ურზუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარება შეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარება შეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის

სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარება შეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განმეორებით შეძენა აღიარდება და დაიქვითება პირდაპირ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად არანაირი მოგების თუ ზარალის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო დავალიანება

წინასწარ გადახდილი გადასახადები ნომინალური ღირებულებით აღირიცხება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო დავალიანება ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც, გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო 10 წლიან ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლისა.

4. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ და რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია.

ცვლილებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და უკუიჯარა (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და იჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს, რომ აღიარებულ იქნეს გაყიდვად. შესწორებების თანახმად გამოყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება შემდგომში შეაფასოს ტრანზაქციის შედეგად მიღებული ვალდებულებები ისე, რომ არ აღიაროს რაიმე მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია გამოყენების შენარჩუნებულ უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი მოგების გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება განახორციელოს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი – შესწორებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისსა და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ეს შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი, რაც დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არ არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადავადოს ანგარიშსწორება არანაკლებ თორმეტი თვით.

სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა მესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. Th არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება: მიმწოდებლის ფინანსური სქემები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შემფოთების საპასუხოდ ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი გამჟღავნების შესახებ, 2023 წლის მაისში, ბასს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოითხოვოს გამჟღავნება საწარმოს

მიმწოდებლის ფინანსური სქემების (SFAs) შესახებ. ეს ცვლილებები ავალდებულებს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური სქემების გამჟღავნებას, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ამ სქემების ზეგავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ისევე როგორც საწარმოს ლიკვიდურობის რისკზე. გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური სქემების გამჭვირვალობის გაზრდა.

5. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ გამჟღავნების მოთხოვნებზე. გამჟღავნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

შესწორებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რათა დაეხმაროს საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ მიმდინარე გაცვლითი კურსი, როდესაც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება არ ხდება. საწარმოზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ შეიცვლება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. შესწორებები ბასს 21-ში არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს მიმდინარე გაცვლითი კურსი. ნაცვლად ამისა, ისინი ადგენენ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს მიმდინარე გაცვლითი კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ჩამოყალიბება. საჭიროა კურსის ცვალებადობას დაქვემდებარებული თანხების კონვერტაცია სავარაუდო მიმდინარე გაცვლითი კურსით თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, გაუნაწილებელი მოგების ან კუმულაციური კონვერტაციის სხვაობების რეზერვის

კორექტირებით. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.) ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც

ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს ფულადი სახსრები მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საეჭვო დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით, სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ობიექტური ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის არ გამოვლენილა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანიის ხელმძღვანელობა, მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. სასარგებლო მომსახურების ვადების დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის სავარაუდო გამოყენების პერიოდს, მორალურ და ფიზიკურ ცვეთას, ასევე იმ გარემოს სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ამ ფაქტორს ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს მომავალი ამორტიზაციის განაკვეთის ცვლილება

	2023	2022
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	27,633	24,768
სახელმწიფო ვაუჩერი	97	118
სასწავლო პროცესიდან მიღებული შემოსავლები	313	255
სხვა შემოსავალი	1,180	599
	29,224	25,741

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
იჯარის ხარჯი	164	141
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი	3,136	2,079
საოფისე ხარჯი	376	426
კომუნალური ხარჯები	514	321
რემონტის ხარჯი	355	388
ტრანსპორტირების ხარჯი	52	131
კომუნიკაციის ხარჯები	144	158
სხვა საერთო ხარჯი	1,123	779
	5,864	4,423

9. ძირითადი საშუალებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	შენიშვნა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და ავიაცი	დაუმთავრებელი შენიშვნა	სხვა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	37,574	1,304	4,820	886	1,167	45,751
შემოსვლა	4,345	137	2,259	777	710	8,228
ტრანსფერი	-	-	-	-	-	-
გასულის ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	41,919	1,441	7,079	1,663	1,877	53,979
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერი	2,021	607	1,900	-	812	5,340
ცვეთის დარიცხვა	695	202	746	-	151	1,794
გასულის ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	2,716	809	2,646	-	963	7,134
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	35,553	697	2,920	886	355	40,411
31 დეკემბერი 2023 წელი	39,203	632	4,433	1,663	914	46,845

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	შენიშნა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო აშუალებები და ავეჯი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	24,130	822	2,323	2,228	926	30,429
შემოსვლა	-	482	2,497	12,102	240	15,321
ტრანსფერი	13,539	-	-	(13,539)	-	-
გასულის ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	37,574	1,304	4,820	886	1,166	45,750
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერი	1,585	465	1,656	-	731	4,437
ცვეთის დარიცხვა	436	142	243	-	81	902
გასულის ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	2,021	607	1,899	-	812	5,339
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	22,545	357	667	2,228	195	25,992
31 დეკემბერი 2022 წელი	35,553	697	2,921	886	354	40,411

კომპანიას მისი ძირითადი საშუალებები დაგირავებული აქვს ქართული კომერციული ბანკისგან აღებული სესხის უზრუნველყოფის სახით. კომპანიას არ აქვს უფლება ეს აქტივები დააგირაოს უზრუნველყოფის სახით, სხვა პროცენტური სესხებისთვის ან მიჰყიდოს ისინი სხვა საწარმოს, ბანკის ნებართვის გარეშე.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნა

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნა	196	186
საიჯარო მოთხოვნა	432	464
სხვა მოთხოვნები	5	3
	633	653

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ფული ბანკში	580	1,627
ფული სალაროში	6	5
	586	1,632

12. საკუთარი კაპიტალი

2023 და 2022 წელს საკუთარ კაპიტალში ცვლილება არ ყოფილა. 2023 და 2022 წელს არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება.

13. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ აქვს არსებითი პირობითი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები - ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებითი დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივად ვითარდება და შესაბამისად ის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა უკუქმედების ძალა ჰქონდეს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად ხუთი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები, ხოლო კომპანია შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

14. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის მარტში ჯგუფმა აიღო სესხი აწარმოე საქართველოს თანადაფინანსებით, მზის პანელების შესაძენად. სესხის თანხა შეადგენს 667 ათას ლარს. ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია 2023 წლის
მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

ბრიტანულ ქართული აკადემია(საიდენტიფიკაციო ნომერი 204497829) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შემდგომში „კომპანია“ ან „სკოლა“). კომპანია დაარსდა 2006 წელს. ბრიტანულ-ქართულ აკადემიას ჰყავს შვილობილი კომპანია - თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა(საიდენტიფიკაციო ნომერი 405351943, დაარსდა 2019 წელს. სკოლების ფაქტიური და იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ. ამასთანავე კომპანიას ჰყავს კიდევ ერთი შვილობილი კომპანია - შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია - ოქროყანა (საიდენტიფიკაციო ნომერი 405482981, დაარსდა 2021 წელს), რომელსაც ოპერაციები არ აქვს.

სკოლების სასწავლო პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეების არა მხოლოდ ინტელექტუალურ და აკადემიურ პროგრესს, არამედ ჰოლისტურ განვითარებასა და მათ ჩამოყალიბებას პასუხისმგებლობის მქონე, მზრუნველ ინდივიდებად. ბრიტანულ-ქართული აკადემია ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: საერთაშორისო პროგრამა (1-12 კლასები) და ქართული პროგრამა (11-12 კლასები). საერთაშორისო პროგრამა მოიცავს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ორ პროგრამას: კემბრიჯის კურიკულუმი და საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა. თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის კურიკულუმი შესაბამისობაშია დიდი ბრიტანეთის ეროვნულ კურიკულუმთან და იგი მოიცავს კემბრიჯის საერთაშორისო პროგრამებს კემბრიჯის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან (Cambridge primary) IGSCE & AS/A პროგრამის ჩათვლით. კემბრიჯის პროგრამებს ახორციელებს 10,000-ზე მეტი სკოლა 160-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო IB სადიპლომო პროგრამა ისწავლება 157 ქვეყნის 3,400 სკოლაში.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის საერთაშორისო პროგრამაზე სწავლების ენა გახლავთ ბილინგვური, რაც სწავლების პროცესში ორი ძირითადი ენის – ქართულისა და ინგლისურის სისტემატურ და თანმიმდევრულ გამოყენებას გულისხმობს, ხოლო თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის შემთხვევაში სწავლების ენაა ინგლისური.

სკოლების მისიაა ნდობაზე, პატივისცემასა და ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებულ გარემოში აღზარდოს ცნობისმოყვარე, მცოდნე, მზრუნველი და მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეძლებენ კომპლექსური პრობლემების გადაჭრას და წარმატებით ადაპტირდებიან მუდმივად განვითარებად და ცვალებად გლობალურ სამყაროში.

2015 წელს კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილება თავის საქმიანობაში და გახსნა სასწავლო კამპუსი ლისის ტბის მიდამოებში. ამგვარი ცვლილების შედეგად სკოლამ შეიძინა 15,000 კვ/მ-ზე განთავსებული თანამედროვე კამპუსი. აკადემიის შენობის პროექტირებისას, გათვალისწინებულ იქნა არქიტექტურული გეგმარების მოდერნული ელემენტები, რაც სწავლისა და სწავლების პროცესის ინოვაციური მეთოდოლოგიით წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. 2022 წლის სექტემბრიდან არსებული კამპუსის მიმდებარედ ახალი თანამედროვე ბლოკის მშენებლობის გზით სკოლის მოცულობა გაიზარდა 1,150 მოსწავლემდე.

ამ რეორგანიზაციის შედეგად სკოლამ მიიღო თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ფართო საკლასო ოთახები, სამეცნიერო ლაბორატორიები, ტექნოლოგიური მეცნიერებისა და ხელოვნების ოთახები, მრავალფუნქციური სივრცეები, რომლებიც სპეციალურად დაპროექტდა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სამუშაოებისთვის. სასწავლო სივრცეების გარდა მოეწყო სპორტული და რეკრეაციული სივრცეები, რომელშიც ერთიანდება საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, მრავალფუნქციური კალათბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის, ყველა სეზონზე მორგებული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთისა და რაგბის ღია მოედნები. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა, რომელსაც განეკუთვნება პორტაბელური და სტაციონარული კომპიუტერები, პლანშეტები, ინტერაქტიური ეკრანის მქონე დაფები და პროექტორები, უზრუნველყოფს მოსწავლეების მრავალფეროვან გამოცდილებას ტექნოლოგიური მეცნიერებების განხრით.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ყველა თანამშრომელი გამოირჩევა მაღალი ეთიკური სტანდარტით. მუდმივად ხდება სწავლების პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება. მაღალკვალიფიციური აკადემიური გუნდი დაყოფილია საგნობრივ კათედრებად, რომლებსაც გამოცდილი ადგილობრივი და უცხოელი კათედრის ხელმძღვანელები მართავენ.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ემსახურებოდა 1,116 რაოდენობის მოსწავლეს, რომელთა 88% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული. ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 601-ს, ხოლო თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში 515 მოსწავლე ირიცხებოდა. (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ემსახურებოდა 966 რაოდენობის მოსწავლეს, რომელთა 90% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული. ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 495-ს, ხოლო თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში 471 მოსწავლე ირიცხებოდა.) კაპიტალური დაზანდებებმა რომელიც განახორციელა სკოლამ განმავლობაში და რომელიც მიმართული იყო სასკოლო აქტივების გასაზრდელად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას და შესაბამისად შემოსავლების გაზრდასაც.

სკოლის შემოსავალი და წმინდა მოგება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 29,224 ათას ლარსა და 6,161 ათას ლარს შესაბამისად. (2022 წლის 31 დეკემბრისათვის 25,741 ათას ლარი და 8,316 ათას ლარის მოგებას შესაბამისად)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სკოლა საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკები
- რეგიონალური პოლიტიკური არასტაბილურობა

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს მოსახლეობის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევის შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, სკოლის ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

სკოლას არ გააჩნია მნიშვნელოვანი, საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები. სკოლა ახდენს თავისი წლიური მოსაკრებელის უმეტესი ნაწილის წინასწარ მიღებას, რაც უზრუნველყოფს ზემოთხსენებული რისკებისაგან დაზღვევას. ყველაზე არსებითი საქმიანობის რისკი რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს არის უცხოური ვალუტის გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები. იმდენად რამდენადაც სკოლას დაფინანსება აქვს დოლარში, დოლარი ლარის კურსის მნიშვნელოვანი რყევა შესაძლოა ფინანსურად დამაზარალებელი იყოს სკოლისათვის. უპირველესი მექანიზმი რომელიც სკოლას გააჩნია ამ რისკის დასაზღვევად არის სკოლის საფასურის დოლარში დენომინირება, რაც აგენერირებს დოლარში დენომინირებულ აქტივებს და ამსუბუქებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის გადაფასებიდან წარმოქმნილ ზარალს. სკოლას არ გააჩნია ბიზნეს რისკები რომელიც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან ან ეკოლოგიური გარემოს დაზინძურებასთან.

2024 წლის 12 სექტემბერი

ნათია ჯანაშია
გენერალური დირექტორი

6. სექტემბერი